# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

# დადგენილება №2

**2024 წლის 22 თებერვალი**

**ქ. თბილისი**

**„მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №126, 06/09/2007, სარეგისტრაციო კოდი: 320.110.000.17.010.010.812) შევიდეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ მუხლი:

„$1^1$.„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარება განხორციელდეს „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიის და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 22 თებერვლის №1 დადგენილების შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| **კომისიის წევრი** | **ივანე მახარაძე** |
| **კომისიის წევრი** | **ვახტანგ აბაშიძე** |
| **კომისიის წევრი** | **ეკატერინე იმედაძე** |
| **თავმჯდომარე** | **კახი ბექაური** |